ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

**გაზეთის ფასი:**

| გაგზავნით თფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: |
|---|---|---|
| თი წლისა | — 4 მ. | — 3 მ. — |
| ნახევარი წლისა | — 3 — | — 2 მ. — |
| მი თვისა | — 1 მ. | — 1 მ. — |

**ხელის მოწერა მიიღება:** თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის) სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში: თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი- *Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОИ ГАЗЕТЫ: при типографіи Г Церетели и к°. (Дубелира).*

№ 19 შაბათი Y 15 ოკტომბერს, 1872 წ.


**შინაარსი**

ლოჭინის აგარიდგან.—განცხადება სასოფლო სასამართლოებს.—არა ოფიციალური ნაწილი:—რკინის გზაზე.—სამღვდელოების მდგომარეობა.—სამოსამართლო ნაწილი: სისხლის სამართალი და იმისი განმარტება.—კერძოობითი განცხადება.

## განცხადება

ლოჭინში თ. დავით ციციშვილი, მეცნიერი მებაღე, ამით გამოუცხადებს საქართველოს მემამულეებს, რომ იმას აქვს ყოველგვარი საუკეთესო უცხო ქვეყნის ხეხილების და ხეების ნერგები აგრეთვე ბოსტნეულის და ყვავილების თესლებ და ჰყიდის ზომიერ ფასათ.

ხეხილის და ხეების ნერგები

| | |
|---|---|
| ერთი წლისა — — — — | 33 კაპ. |
| ორი წლისა — — — — — | 40 კაპ. |
| სამი წლისა — — — — — | 60 კაპ. |

ვისაც ჰსურს დაიბაროს ეს ნერგები და თესლები იმათ ვსთხოვთ მიმართონ ტფილისს «სასოფლო გაზეთის და «დროების» რედაქციაში წერეთლის (უწ. დუბილერის) სტამბაში ხანის ქუჩაზე ბებუთოვის სახლში, ან კუკიაში ელიზავეტას ქუჩაზე თავად გიორგი ციციშვილის საკუთარს სახლში.

# ОБЪЯВЛЕНІЕ

## СЕЛЬСКИМЪ ОБЩЕСТВЕННЫМЪ УПРАВЛЕНІЯМЪ ТИФЛИССКОЙ ГУБЕРНІИ.

По открытіи Поти-Тифлисской желѣзной дороги обнаружилось, что жители весьма часто подкладываютъ по желѣзной дорогѣ камни, дозволяютъ себѣ переѣзжать чрезъ желѣзную дорогу не по переѣздамъ, ѣздить и ходить по полотну желѣзной дороги и проч. Въ виду сего, признавая необходимымъ оградить безопасность и правильное движеніе по желѣзной дорогѣ, я, по приказанію ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЫСОЧЕСТВА Великаго Князя Намѣстника, независимо даннаго подлежащимъ мѣстнымъ властямъ предписанія, строжайше вмѣняю въ обязанность Сельскимъ Старшинамъ ввѣренной мнѣ Губерніи имѣть неослабный надзоръ, чтобы жители воздерживались отъ самомалѣйшей порчи желѣзной дороги, отъ подкладыванія на оную камней, переѣзда и перегона скота чрезъ таковую не въ указанныхъ для сего мѣстахъ, а также переѣзда, перегона и хожденія по оной въ запрещенное для сего время, объявляя объ этомъ жителямъ на Сельскихъ сходахъ чрезъ каждые двѣ недѣли, и внушая имъ опредѣленное закономъ наказаніе заключающееся въ слѣдующемъ:

а.) По 1081 ст. улож. о наказ. за всякое съ умысломъ учиненное поврежденіе желѣзной дороги, когда оно можетъ подвергнуть опасности слѣдующій по сей дорогѣ транспортъ,—лишеніе всѣхъ правъ состоянія и ссылку въ каторжную работу въ крѣпостяхъ на время отъ восьми до двѣнадцати лѣтъ.

б.) По 1082 и 1453 когда означенное выше противозаконное дѣйствіе учинено съ намѣреніемъ подвергнуть опасности слѣдующій по желѣзной дорогѣ транспортъ,—лишеніе всѣхъ правъ состоянія и ссылку въ каторжную работу въ рудникахъ на время отъ пятнадцати до двадцати лѣтъ.

в.) По 76 ст. уст. о наказ. налог. Мировыми Судьями за переѣздъ, переходъ или перетаскиваніе чего либо чрезъ желѣзную дорогу въ то время, когда это недозволено, виновные подвергаются денежному взысканію не свыше пятидесяти руб. сереб.

Въ заключеніе присовокупляю что виновные будутъ преслѣдуемы безъ всякаго снисхожденія.

*Тифлисскій Губернаторъ К. Орловскій*

*Совѣтникъ Масловъ.*

## განცხადება

ტფილისის სასოფლო სასამართლოებს.

ფოთი-თფილისის რკინის გზის გახსნის შე-

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ გამოჩნდა, რომ მცხოვრებლები ხშირათ მაშინას ქვებს უგდებენ ქვეშ რკინის ზოდებზე, გადად-გადმოდიან რკინის გზებზე იმ ალაგას, სადაც სასვლელი არ არის, აგრეთვე ცხენით და ქვეითაც დადიან რკინის გზის საფენზე და სხვ. ამის გამო საჭიროთ ვსთვლი შიშის მოსარიდებლათ და რკინის გზის წესიერათ მსვლელობისათვის მე მისის იმპერატორების დიდებულების დიდი მთავრის ბრძანებით, გარდა იმისა რომ ჩემ ხელ-ქვეით ადგილობრივ გამგებლებისათვის გამიგზავნია მიწერილობა, ფიცხათ ვუთვლი სოფლის მამასახლისებს ჩემდამორწმუნებულის გუბერნიისას, მოვალენი შეიქნენ და დაუძინებლათ თვალ-ყური ეჭიროსთ, რომ მცხოვრებლებმა ოდნათაც არ წაახდინონ რკინის გზა, ქვეშ ქვები არ დაუდვან, არ გადვიდენ და არ გადარეკონ საქონელი, საცა რიგი არ არის, ან სადაც ნება აქვთ ტარებისა, როცა გადატარება დაშლილია, სასოფლო მოხელეებმა უნდა გამოუცხადონ მცხოვრებლებს სასოფლო კრებაში ორ-კვირაში ერთხელ ამ საქმეზე და მოაგონონ რომ კანონი დამნაშვებსა ქვემოხსენებულნაირათ დასჯის:

ა. 1081 მუხლი სისხლის სამართლისა. ყოველნაირი რკინის გზის წახდენისათვის, რომელიც განზრახ მოუხდენიათ, თუ კი ის ავნებს რასმე რკინის გზის მატარებელს მაშინას, დამნაშავეს ჩამოერთმევა ყოველ-გვარი უფლება და გაიგზავნება კატორღაში ციხეში დროებით რვა წლიდგან თორმეტ წლამდის.

ბ. მუხლნი 1082 და 1453. თუ ვინმე ზემოხსენებული უკანონო მოქმედება მოახდინა იმ განზრახვით, რომ შიშს შეამთხვიოს რკინის გზის მატარებელი მაშინა, იმას ჩამოერთმევა ყოველნაირი უფლება და გაიგზავნება კატორღაში მადნის სათხრელად თუთხმეტი წლიდგან ოც წლამდის.

გ. 76 მუხლი მომრიგებელ მოსამართლისაგან განწესებული დასჯა. გადასვლისათვის რკინის გზაზე ცხენით, თუ ფეხით, ან რისამე გადატრევისათვის იმ დროს, როცა ეს დაშლილია, დამნაშავენი დაისჯებიან ჯარიმით არა უმეტეს ხუთის თუმნისა.

ბოლოს დავუმატებ, რომ დამნაშავეთა არ ექნებათ შეწყალება.

თფილისის გუბერნატორი ორლოვსკი.

რჩევის წევრი მახლოვი.

არა ოფიციალური ნაწილი

## სამეურნეო ნაწილი

### ლოჭინის აგარიდგან

(სახოფლო გაზეთის კორრესპონდენტას)

ოჯახობა ლოჭინის სამეურნეო შკოლისა, ამ წელს მიწის სამუშაოთ ახალი გუთნები ვიხმარეთ: ვენგრიული გუთანი რანსომის, სიმსის და გედის ქარხნისა და ნემეცური გუთანი ეკკერტის ქარხნისა ბერლინიდან. ამ ორივე გუთნებს სახნისი, დანა და ფრთები თანასწორები აქვთ, მაგრამ ის თვალი, რომელიც ხნულის კვალში მიდის, ძირს არის დაშვებული, იმის გამო რომ ამ გორგოლაჭის ღერძს მუხლები აქვს ასაწევ დასაწევი. ეკკერტის გუთანს კვლის საკეთებელი ისე აქვს მოწყობილი, რომ გუთნის მობრუნებაზე კვლისაკენ უცებლივ მობრუნდება. ეს გუთნის-დედას ძალიან უადვილებს საქმესა. რანსომის გუთანს კვლის საკეთებელი და ტარი ხისა აქვს. უფ. შულტმა ბევრგან გადააკეთა ე'ს გუთნები, რომ ლოჭინში მოხერხებულიყო იმის ხმარება. დანები უფრო მოუმარჯვა, ფრთები უფრო მაღლა ასწია, რომ ღრმათ ეხნა თავის შესაფერად და სხვ. ამ ახალი გუთნებით და აგარაზე რომ გქვონდა, იმით ჩვენ მოვხანით ორმოცდა ათი დღიური მიწა ოთხი თუ ხუთი გოჯის სიღრმეზე და შვიდი გოჯის სიგანეზე თითო კვალი. ამნაირათ მოხნული და სულ უყი მიწებიც ადვილათ შევიმუშავეთ იმ ახალი ფორმის გუთნებით, რომელნიც აგარაზე გვეწყო. გუთნებისათვის გვყავდა ოთხი უღელი ხარი, ერთი გუთნის-დედა და ერთი მუშა. აქაურ მამულის მეპატრონეებისათვის შესანიშნავი უნდა იყოს ეს ამბავი, რომ მარტო ოთხი უღლით ვმუშაობთ იმდენს მიწას, რამდენსაც ისინი თავის გუთნით ათი უღელი ხარით და ექვსი მუშით ვერ ხნავდენ. მიწის მეპატრონეებისათვის პირ-და-პირი ანგარიშია, რომ ათი უღელი ხარის მაგიერათ ოთხი უღელი ხარი იყოლიონ და დანა[...] ჩენი ექვსი უღელი ხარების მაგიერათ თო[...] მეტი მეწველი ძროხა გაიჩინოთ მაგრამ ჩვ[...] წინათ უკვე ვილაპარაკეთ, რომ ჩვენს მიწ[...] მეპატრონეებს არ არგებთ პირ-და-პირ სა[...] ღვარ გარეთიდგან გუთნის დაბარება, რადგ[...] რომ გატყდეს ან მომართოს აქაურ მიწა[...] კარგი მოხელე და მჭედელიც უნდა ჰყავდ[...] ამისთვის ლოჭინის მოხელეებმა განიზრახ[...] ისეთი გუთანის გაკეთება, რომელიც ახა[...] ევროპიულ წესზე იყოს გაწყობილი, შეე[...] რებოდეს ჩვენს ადგილ-მდებარეობის ნიად[...] და ვინიცობაა თუ წახდა, აქაურსავე მოხელ[...] შეეძლოს იმის გასწორება, გარდა [...] ნაწილებისა, რომელნიც ძალიან ძნე[...] გასაკეთებელნი არიან.

დასასრულ უნდა ვთქვათ, ლოჭინის შკ[...] ლის შაგირდებთაგანნი ბევრნი არიან ისეთ[...] რომ ისწავლეს ჩვენ რომ მოვიხსენეთ, იმ[...] თანა გუთნების გამართვა და ხმარება.

ბ. გეეგსკი.

26 ნოემბერს 1872 წ.

---

«დ რ ო ე ბ ი ს კორრესპონდენცია»

ქუთაისიდგან, ენკენისთვის 17.

რაჭის გზის კეთება ქუთაისიდგან, მდინ[...] რიონის მარჯვენა მხრით, მამისონის მთამდ[...] 1860 წელს დაიწყეს. ვისაც ამ გზაზედ არ [...] უვლია, უეჭველია წარმოიდგენს, რომ ამოდე[...] ხნის განმავლობაში და იმ საშუალებითა, რო[...] ლიც იმისთვის დაიხარჯა, კარგი გზა უნდა ი[...] გაკეთებულიყო, თუ სულ რაჭამდის არა, ქუთ[...] სიდგან რამოდენიმე ვერსტზედ მაინც. ამ მოს[...] რების გამო, იქნება ეგიპტეითაც წასვლა ივიქ[...] ვინმემ. მაგრამ ძალიან შესცდება და ბევრსაც [...] ნებს. ამას წინათ მე მომიხდა ამ გზით მოგ[...] ზაურობა. მეოთხე ვერსტზედ ქუთაისიდგან მივა[...] გი ბოგირს, რომლისაც ერთი მხარე ჭაურ[...] იყო გაჩერებული და ნახევარი კი ხამირკვლე[...] იამშჩიკმა დაიწყო თავის მხანა და სთქვა, ვერ [...] ვალთო; მაგრამ დაბრუნება ველარ შეეძლო; [...] დონე ჰქონდა: იმან და მოსამსახურემ ამო[...]

...ავარდნილი სამირკვლელი და შეუყენებ ჭერში მდგო...რე ბოგირის ფიცრებს. დიდის ვაი-ვაგლახით, ...როგორც იყო ჯერ ცხენები და მერმე ეკიპაჟიც ...ვიტანეთ. მადლობა ღმერთს, ვსთქვით, თუ შე...დეგ მაინც გვექნა ხეირიანი გზა. მაგრამ ეს იმედი ...ლოდ დავკარგეთ: ნახევარი ვერსტი რომ გავია...რეთ, შეგვხვდა მეორე ბოგირი მთლად ჩაქცეუ...ლი. ორი იმერელი და ერთი ბერძენი იღებდენ ...ამტვრეულს ფიცრებს და სამირკვლებს. ამ მუშებმა ...თხრეს, რომ ერთი იმერელი, რომელსაც ...ერთი უღლი კამბეჩის მეტი არა გააჩნდა რა, ...ერონდა ბერძენს ქუთაისში ბზის ჩატანას და ...როდესაც დატვირთული ურემი გაჭყვდა ბოგირ...ში, შეცრათ ჩავარდა, თვითონ კი როგორც იყო ...გადარჩა, მაგრამ კამბეჩები კი დაეხოცა საწყალსო, ...ის უტოლდესი არა არის რა ეხლაო. ეს იყო ...რის თვის წინეთ, მას აქეთ კაცი არ აკეთებსო. ...და ან რათ შეიწუხებს თავს ვისაც აბარია, ფუ...ლებს ბლომათ ღებულობს, მდიდრულათ ცხოვ...რობს და ქეიფობსო. თქვენმა მზემ, ბატონო, ...დაუმატა ერთმა მუშამ, რაც წელიწადში ის ფულს ...იღებს, რკინის გზა გაკეთდებოდაო. აქ ზამთარ...ში მიწა ჩამოიქცევა, ზაფხულში ბოგირები ჩაიმ...ტვრევა. ვერა დროს ვერ გაივლის კაცი თავისუ...ფლათო, ძველი გზა გარდაავდეს, ახალი ეს გას...ავსო.

ამის შემდეგ ჩვენ გამოვეთხოვეთ მუშებს და ...წავედით. მეათე ვერსტზედ შეგვხვდა კიდევ ხი...დი, რომელზედაც გასვლა ძნელი კაცისათვისაც ...იდათ საშიში იყო, არა თუ ეკიპაჟისათვის. ...ვენ იძულებული ვიყავით დაგვეტოვებინათ ეს ...მშვენიერი გზა და წავსულიყავით მეორე, რიო...ნის ნაპირა ძველი გზით, რომელიც ბუნებას გა...კეთებია. მე უნებლიეთ მომდიოდა თავში სხვა ...და სხვა ფიქრები; რამდენი ღარიბი კაცის ოფ...ლით ნაშოვარი ფული ჩაყრილა ამ გზაში და სარ...გებლობას კი ჩვენი ღარიბი ხალხი ჯერ-ჯერობით ...ამისაგან კაპეიკისასაც ვერა ხედავს. სარგებლობენ ...სხვები....

ი. ბრაკონელი.

## სამღვდელოების მდგომარეობა

(გაგრძელება)

ხსენებულს სასოფლო გაზეთში არის მოხ...ხსენებული საშუალობა, ვითომც რომ სოფლის საზოგადოებათა ერთათ ერთს ალაგს მოხნან, მოიყვანონ, მომკონ, გალეწონ, და ისრე ჩააბარონ მღუდელს, მაგრამ ისრე ახლოს არ მიიყვანებენ გლეხნი ამ რჩევას, როგორც რომ ცა არ მიიყენებს ახლოს დედა-მიწას; მიზეზი რა იქნება ესრეთის უარის ყოფობისა? ამის მიზეზი არის ათასზედ და ორი ათასზედ უმეტესი, რომლის აღრიცხვა არ შეიძლება, მაგრამ თუნდ სურვილიც ჰქონდესთ გლეხებს ამისი, ჩვენთვის ვსთქვათ: რომ არ მოვიდეს მოსავალი? ხომ გლეხნი მღუდელს აღარას მისცემენ, ეტყვიან, რა შენის გულისთვის თითო კვირა მოვსცდით და ეხლა რაღათ მოგცეთო, მაშინ უფრო უნუგეშოთ დარჩება მღუდელი, ვსთქვათ რომ მოვა და თავის დღეში არ მოსცდება მოსავალი, მაგრამ მწერალო მის გაზეთისაო? მაჩვენე ისეთი სოფელი საქართველოს ეპარხიაში, რომელსაც მინდორი საკმაო ჰქონდეს და მომატებული, რომ მღუდლისთვის გადაზდონ, ესრეთი სოფელი სულ მრთელს საქართველოში არ გამოსჩნდება ხუთი ანუ ექვსი და დანაშთენთა რაღა ჰქნან? მაშ რა უნდა ჰქმნას საზოგადოებამ, ანუ სამოქალაქომ და სასულიერო მთავრობამ რომ სიძულვილის მაგიერ სიყვარული ჩამოაგდოს შვილსა და მამას შუა; მე როგორც ვგონებ ესა, რომ გლეხებმა საიდგანაც იქნება, ვაით იქნება თუ ვაგლახით, ჩხუბით იქნება თუ ტკბილის სიტყვით ხომ უნდა მისცენ მღუდელსა, დღეს იქნება თუ ხვალ, ეს აზრი უნდა იქონიონ საზოგადოებათა სახეში, მაშასადამე გლეხის ჯანიდან მიდის, ასრე უნდა გამოერთოს გლეხს, რომ იმან არ იცოდეს რისათვის ერთმევა, და როგორ? აი როგორ: სამღუდელოთ უნდა აღეკრძალოთ შტატისგანწესება და მიეწეროს რომელსამე გამოსაღებს? მდიდარს მომეტებული, საშვალოს საშუალოთ, ბოლოს კაცს ცოტა, და ღარიბს სრულებით არა ფერი. თუ რომ საზოგადოება ანუ მთავრობა ინებებს და საკმაო ჯამაგირს დაუნიშნავს, ის ბრძანებაც უნდა გასცენ, რომ ყოველი წესი უსასყიდლოთ აღასრულონ, და თუ ნაკლებს დანიშნავენ, მაშინ თვითვე საზოგადოებამ დასდოს სასყიდელი ყოველს წესს. რომ გლეხმაც იცოდეს და მღუდელმაც მუშაკი ღირსი არს სასყიდლისა, მღუდელმა იცოდეს ფასი ყოველის წესისა, მაგრამ მღუდლისაგან კი არა ეთხოებოდესრა, მაშ როგორ? მღუდელი შეასრულებდეს წესს და ჰქონდეს თავისთვის პატარა რვეული, თუ რომ წესის შესრულების შემდგომ გლეხმა ინამუსა და სასყიდელი ჩააბარა, ხომ კარგი, თუ არა და იმ რვეულში აღნიშნონ ამა და ამ კაცს გარდაუხადე ეს წესი და პატივი არა უცია რა, წლის თავზედ წარუდგინოს ბლაღოჩინს, ბლაღოჩინმა მოსწეროს მამასახლისს, მამასახლისმაც არ უნდა შეატყობინოს გლეხს, რომელსაც ართმევს, არამედ მოუმატოს იმ კაცს ვისაც ფასი დაჰკლებია, რომელსამე წესისა, რომელსამე გამოღებაში და ესრეთ უნდა აუკრიფოს გაუგზავნოს ბლაღოჩინს და მან უნაკლებოთ ჩააბაროს მღუდელს. თუ ეს ესრე არ დაეწყო და სამღუდელოთ ჯამაგირი არ დაუნიშნავთ თავის დღეში სამღურავს არ მოშლიან. აბა ბატონო, იფიქრე კომლზედ არის დაწესებული კოდი პური, ქერი და სხვა გამოსაღები. კომლიც არის და კომლიც, ზოგი მილიონს ელაპარაკება და ზოგს კაპეიკის ღონისძიებაც არა აქვს, რომ თვალზედ მიიკრას, ახლა მღვდელო მიდი და იმას სთხოვე პური მომეციო, რომ კარგათ გაგლანძლოს და თავიც გაგიტეხოს რა ძალა შეგიძლიან? რას ხედავ და რას სთხოვ? აქ მკითხველი იტყვის, ჰოდა ღირსი იქნება გალანძღვისა და თავის გატეხისა, იმისთანას რათა სთხოვს, რომელსაც არა აქვსრა. კეთილ-გონიერო მკითხველო! შეხედე შენს ღმერთს, მოიფიქრე რომ მღვდელს აქვს კომლზედ დანიშნული, არა აქვს განრჩევა მდიდრის და ღარიბისა, ყოველს წელს აღსარების მთქმელთ სიას წარადგენენ ხოლმე მთავრობაში, მთავრობა უყურებს კომლების რიცხვს, საკვირველი არ არის, რომ დახედოს ამ რიცხვსა 151 ანუ 196 ანუ 251 და სთქვას ო! რა ბევრი მრევლი ყოლია, ახლა მოიკითხოს იმათგანმა, ვინ მისცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განწესებული დებულება და ვინ არა, დაგარწმუნებ, რომ სულ მიცემული არ ექნება ოცსა, და თუ მიცემული ექნებათ მომეტებულს ერთ კოდ პურში ორი ქათამი, ანუ ერთი ინდოური და აბა რაქნას, მაშ რომ არა სთხოვოს იმას, რით იცხოვროს? დალოცვილს დამწესებელს ისრე მაინც დაეწესებინა, რომ მდიდრისათვის მომეტებული გამოერთმია, ღარიბისთვის ნაკლები, მაგრამ მაშინაც თუკი მღუდლის ასალები იქნებოდა. სხვის შეუწევნელად, ყველა იტყოდა მე ღარიბი ვარო და მომეტებულად ვაი ვაგლახში ჩავარდებოდა...

ყოველი აქ მოხსენებული სიღარიბე და შეწუხება იქნება არ შეეხებოდეს ყოველთა სამღუდელოთა, მაგრამ რაჟაცა დავსწერე მრევლზედ და მღვდელზედ ერთმანეთში სამღურავი ამას ყოველი მღვდელი გამოსცდის და მომეტებულესად ის, რომელი მღუდელიც მოშორებულია თავის მიწა-წყალს, და სამშობლო სოფელს და განუწესებიათ უცხოს და შორეულს სოფელში. რომელი მღვდელიც თავის სამშობლო სოფელში არის, იმას კიდევ არა უჭირსრა, ამისთვის რომ იმას უთუოთ ექნება მამული, სახნავი საქონელი და თუნდ მრევლმა თავის დროზედ არ მისცეს თავისის სახლიდან, იოლათ წავა როგორც იქნება; მაგრამ ვაი შორეულს მღვდელს და უნათესაოს! ზემო თქმულს გაზეთში ისიც არის მოხსენებული, რომ ვითომც მღვდელს სხვა სოფელში რომ დაუძახონ წესის შესრულებისათვის ცხენი გლეხისა უნდა იყოს წასასვლელი მოსასვლელათ. ამაზედ თუმცა უარი უნდა მეთქვა და კიდეც ვამბობ, მაგრამ არა ყოველ მღვდელზედ, არამედ მათზედ, რომელიც ეხლა ზევით მოვიხსენეთ ე. ი. შორეულებზედ, ეს ვინ არიცის, რომ ცხენს შენახვა უნდა: ზამთარში ბზე, თივა და ქერი, და ზაფხულში ბალახი ცხენს უნდა მომვლელი, მომვლელს უნდა ჯამაგირი და ცხენის საკვებს ყიდვა, ეხლა მკითხველი თითონ გაიგებს რასაც ვამბობ, მაგრამ ორიოდე სიტყვას კიდევ დავსწერ: მღუდელს არა აქვს ვენახი, რომ ზაფხულში ბალახი გათიბოს და შეინახოს, იქნება შენ სთქვა მკითხველო, მინდორში გათიბოსო; ვის გაათიბინოს? მნათეს. შორეული მღვდელი მნათეს თავისთან არ ინახავს, რადგანაც ჭამა უნდა და მღვდელს თავის ცოლშვილისათვისაც ვერ უშოვნია. თუნდა გამთიბავი იშოვნოს, მინდორში მეტის მეტი გვალვისაგან ბალახი არ იშოვნება, მაგალითებრ, როგორც წელს ჩვენ უეზდში. ვენახებში არ ათიბინებენ. თუ გაათიბინეს, ერთი შაურის ბალახში, განწესების მიცემის დროს ათშაურს გამოუბარებენ და რა ქნას მღვდელმა, რით უნდა შეინახოს ცხენი, ამას მე ვიცი მკითხველები დიდის გაკვირებით წაიკითხვენ, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ ეს ისე ნამდვილია, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ამისთვის რომ მე თვალით ვხედავ და რასაც ვხედავ, იმას ვწერ. აქედგან გამოვა ისა, რომ უმჯობესი იქნება, რომ მღვდელმა ცხენი არა იყოლიოს, ეხლა, დაუძახეს მღვდელს ძრიელ მწუხარის საზიარებლათ, რა ქნას მღვდელმა ცხენი არა ყავს, ფეხით რომ წავიდეს ვერ მოუსწრებს, თითონ ის კაცი რომელმაც შეატყობინა ცხენით არის. მოახერხეს ისრე, რომ კაცი გადახტა ცხენიდან და მისცა მღუდელსა, კაცმა იქ მოუცადა, მღუდელი საზიარებლათ წავიდა, რომელსაც ერთის ფეხით მიასწრო, ცხენით თუ არ წასულიყო უთუოთ უზიარებელი მოკვდებოდა, მღუდელმა აზიარა თუ არა მაშინათვე მოკვდა, გამობრუნდა და ცხენი პატრონს მოგვარა და ანბავიც მოუტანა, რომ მოკვდაო და ისრე გაგზავნა შინა, აბა აქ რა შეცოდება არის, რომ მღუდელი გლეხის ცხენით წავიდა და მოვიდა. მე ვიცი აქ შენ მეტყვი, მაგ შემთხვევაზედ არ ვლაპარაკობო, და თუნდა სხვა შემთხვევა ვსთქვათ, რომელმე შეძლებულმა გლეხმა სხვა სოფლიდან მიიწვივა მღუდელი მიცვალებულის დასასაფლავებლად, მაგრამ მღუდელმა ბოდიში მოიხადა, უცხენობისა გამო ვერ გიახლებითო, მიცვალებულის პატრონს უნდა, რომ ცერემონიით ბევრის მღუდლებით დაასაფლაოს და ამისთვის ეუბნება, მამაო, ცხენს მე მოგართმევ და მობრძანდი, მაგისათვის მადლო[...] ბელი გახლდებით, მიუგო მღუდელმა, და კ[...] დეც გამოუგზავნა. შემდგომ ანდერძის აგ[...] ბისა მღუდელი ეთხოვება მიცვალებული[...] პატრონს და ჰხედავს, რომ ფეხით ემზადებ[...] ეს გლეხი არის სინიდისიანი კაცი, იფიქრა [...] ხომ ჩემთვის სირცხვილი არის, რომ იქიდ[...] ცხენით მოვიყვანე და აქედან ფეხით ვგზავნ[...] ამისთვის კიდევ ათხოვა ცხენი და გაგზავნ[...] ვგონებ აქაც არაფერი შეცოდება არ უნდ[...] იყოს. რომ მღუდელი გლეხის ცხენით წავ[...] და და მოვიდა, მღუდელი ძალდატანები[...] ერთს შემთხვევაშიაც ვერ მიაყვანინებს ცხ[...] სა, და თუ თვით კეთილნებობით მიართ[...] ვინმე, უარს არ იტყვის.

ეს ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ მწერალ[...] არ შეეთანხმებინა გლეხნი და თავადნი ერთ[...] მანეთთან და, თუ მან შეეთანხმა მთარგმნელ[...] მაინც არ გარდამოეცა ჩვენთვის, რადგანა[...] მიზეზი მღუდელთაგან თავადების პატივ[...] ცემისა თვით იციან. ამ სტატიის პირველ[...] სტრიქონებში დავსწერე, რომ თავადნი თა[...] ანთ სინიდისით ორსა და სამ თუმანს ჯვარ[...] საწერს აძლევენ მეთქი, და თუნდ ესეც ა[...] იყოს გლეხის პატივისცემა და თავადისა ე[...] თია? არა! ორიოდე მაგალითი ვთქვათ, თ[...] რით სცემენ თავადნი პატივს სამღუდელო[...] თა და ისინიც ალერსიანათ ეკიდებიან დ[...] ყოველთვის უმადლიან. რომელიმე მღუდ[...] ლი არის შორის სოფლისა უცხო სოფელშ[...] განწესებული, მღუდელს მოუვიდა შინიდგა[...] ძმა და თვითონაც მოჰყვა ორი, ან სამი კაც[...] თავიანთ ნათლი მამები, ესენი ცხენები[...] არიან ხალხს უნდა შეს-ფერი პატივისცემა[...] ხოლო ცხენებს საკვები. მღუდელს, როგორ[...] ზევით ვ'თქვი არა აქვს ვენახი, ბალახი სა[...] უშოვნოს ცხენებს? აქვე დგას ერთი თავად[...] თუმცა ღარიბია, მაგრამ მამულები და ზვრებ[...] კი ბლომათ აქვს, ამას შეუთვალა მღუდელმა[...] სტუმრები მომივიდნენ და მამაშვილობას ცხე[...] ნებისთვის ცოტა ოდენი ბალახი მიბოძე, თ[...] ვადის სახლი ხვა არის, ამათი სინიდისი ბევ[...] რით განირჩევა გლეხებიდან, იქნება ამას მა[...]

თლათაც თავისთვისაც საკმაო არა აქვს, მაგრამ, მკითხველო, ნუ იფიქრებ, რომ იმან ცარიელი გამოგზავნოს. ის უთუოთ თავის ბიჭს გააყოლებს თავის ვენახში ანუ სათიბ მინდორში და რამდენიც უნდა გაათიბინებს. ეს თავის დროზედ მღუდლისა სტუმართან გამოჩენა აბა დააფასე? ამას ფასი არ უნდა ედვას? თუ გლეხს შეუთვალე ქერს არ მოგვცემს, და თუ მოგცემს, გაგიბარას რაშიმე. ახლა ამ თავადს დასჭირდა მღუდლის თავო, მოუნდა წესის შესრულება, აბა როგორ დაზარდეს, როდესაც სული იმისაგან უდგა, და ან ფასს როგორც შეევაჭროს. ჯერ იმედი მაქვს, რომ უპატივცემულოთ არ გაუშვებს მღუდელსა და თუ იმ ხელათ არა ეშოვებარა, უთუოთ დაიხსომებს, დასწერავს იმ შემთხვევას გუწებაში და თავის დროზედ მომეტებულს გარდაუხდის, ბალახით იოლათ წაიღა ახლა სტუმრებისათვის უნდა ღვინო დაერბოსად იშოვნოს? ფული არა აქვს, თუნდ ჰქონდეს, ღვინოს მანეთათ აძლევენ თუნგსა და ერბოს გირვანქას ორ აბაზათ, ნისიათ მისცემენ დუქნიდან, მაგრამ რადგანაც უდროვო დროს მოსთხოვენ, ამისთვის არ უნდა რომ ნისიათ აილოს დუქნიდან, და მაშ რა ჰქნას? აბა, მღუდელო მიატანე თავადს, რომელთანაც გეგულება ღვინოც და ერბოც, იმ ღარიბ თავადის გვერდზედ დგა მდიდარი თავადი; იმასთან კიდე ამებისთვის გაგზავნა და ყველაფერი მოუვიდა, როგორ იქნება რომ ორ თუნგამდის ღვინო არ მოუვიდეს და ერთ ჩარექამდის ერბო. ახლა მკითხველო დააფასე, მგონი ეს პატივის-ცემა ძვირად უნდა ღირდეს. შემდგომ ამისა იმ თავადმა რომ დაავალოს რამე, კიდევ უნდა მოსთხოვოს განა სასყიდელი? მარამ მაინც და მაინც უპატივცემულოთ არ გაუშვებს. გარდა ამისა ამავე სოფელში ცხოვრებს კიდევ სხვა თავადი რომლიდგანაც სრულებით მღუდელს არაფერი პატივის-ცემა არა აქვს რა და ის კიდევ მღუდელს შეჰყურებს მაჭამოს რამეო, სადილათ დაპატიჟოს, მაგრამ ამისაც მაინც ყოველთვის ალერსიანათ ექცევა, ამას რიღასათვის? ამას მისთვის, რომ მაინცა და მაინც იმის სინიდისის და გლეხის სინიდისი შორიშორს იქნება, თუკი ექმნება რამე. არ დაზოგავს, მაგრამ რა ჰქნას, რომ არა აქვს რა, ის კიდევ სიტყვით და საქმით ბევრს ახიამოვნებს მღუდელსა, გლეხი კი იშვიათად იქმნება რომ წესიერი სიტყვა ამოუშვას პირიდგან, მაშინ უფრო, როდესაც მღუდელი სთხოვს რასმე.

არ იქნება, რომ მკითხველმა არა სთქოს, მაშ რაღა ცხოვრება ჰქონიათ მღუდლებსა თუ რომ იმდენიც არა აქვსთ რომ ორსა და სამს კაცს რამდენსამე დღეს გაუმასპინძლდნენ? ერთს რომელსამე ლექსშია ნათქომი: თუ ჩემსას არ დაიჯერებთ ნეტავი თვალით გაჩვენათ: ნეტავი რომელიც არ დაიჯერებს მღუდლის ესრეთს შეწუხებულს ცხოვრებას ამ ან ოთხს თვეს იმას მისცა სოფლის მღუდელობა. მგონი მაშინვე არა თუ მღუდელობა, დაუტეოს არამედ........ღმერთმან მისცეთ მოთმინება რომ ამდენს შეწუხებას ითმენენ, უთუოთ მიზეზი ამდენის მოთმინებისა ის არის, რომ ახსოვთ სიტყვა მაცხოვრისა: მოთმინებითა თქვენითა, მოიპოვეთ სული თქვენი. რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი სცხონდეს: და სხვა და სხვა, სხვებრ არა გზით არ შეიძლება ამდენი შეწუხებული ცხოვრების მოთმინება, რასაც ითმენენ ყოველნი სამღუდელონი დამომეტებულათ, ისინი, რომელნიც შორს სოფელში არიან განწესებულნი. აქ რაცა დავსწერე გლეხებზედ სუყველას არ შეეხებათ, ესრეთის ქცევისაგან უნდა გამოვრიცხოთ სოფლიდგან ხუთიდან ათამდის ოჯახი და არა მომეტებული, ესეც კი იშვიათად, სოფელში ათი ოჯახი არ გამოვა მღუდლისათვის სინიდისიანი, და ეს კი არის რომ ზოგი გლეხი კაცი თუმცა სოფელში ერთია, მაგრამ თავისის სინიდისით ბევრს შემწეობას აძლევს მღუდელსა და თითქმის ყოველს შემთხვევაში ანუგეშებს და მდიდარს თავადზედ მომეტებულს პატივს სცემს, რომლისათვისაც მღუდელი ყოველთვის მადლობელია და ყოველთვის ალერსიანათაც ექცევა მას.

1872. წელსა. ს. ბალბიანი.

თავადი დავით გაქამე.

---

## სამოსამართლო ნაწილი

(განგრძელება)

34. (325) ვინც რომ გადავა სხვა სახელმწიფოში და იქ ან სამსახურში შევა, ან მიიღებს იმ სახელმწიფოის ქვეშევრდომობას ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და საუკუნოდ განდევნით საზღვარ გარეთ; თუ თავისის ნებით მობრუნდა რუსეთში, მაშინ გაიგზავნება სიბირში დასასახლებლად.

35. (326) ვინც რომ გავა სხვა სახელმწიფოში და პირველსა მოთხოვნილებასთანავე მართებლობისა არ მობრუნდება რუსეთში ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და საუკუნოთ საზღვარ გარეთ.

---

36. (540) ვისაც რომ ვალი აქვს გამოიწვიოს სასოფლო სამუშაოში ანუ გამოიწვიოს ცხენი და ურემი ჯარისათვის, და არ აღასრულებს ამას, ის დაისჯება:

გადახდით ფულისა ოცდა-ხუთ მანეთამდის.

---

37. (571) ვინც რომ გააკეთებს ყალბ სახელმწიფო ქაღალდს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ექვსიდან რვა წლამდის.

---

38. (715) ვინც რომ შეიტანს ქალაქში ბაჟის გადუხდელათ ღვინოს, ანუ ოტკას იმას წაერთმევა ესენი ყველა და გაეყიდება აუქციონით.

---

39. (744) ვინც შემოიტანს ნამალავად კონტრაბანდათ სხვა ქვეყნებიდან საქონელს, რომელსაც ჩვენს სახელმწიფოში ბაჟი ადევს; იმას წაერთმევა ხული ეს საქონელი; გარდა ამისა შემტანს გადახდება ხუთი იმოდენი ფული, რამდენსაც ეს საქონელი ღირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. (755) როდესაც ეს ნამდვილად—კონტრაბანდათ შამოტანილი საქონელი მოჭქონდათ ბევრებს ერთად და დაიარაღებულიც იყვნენ; ისინიც დაისჯებიან:

უფროსნი დამნაშავენი ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში საცხოვრებლად, ხოლო სხვა დამნაშავენი: ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით დასასახლებლად შორს ღუბერნიაში, გარდა სიბირისა.

---

41. (822) ვინც რომ დაფარავს, ანუ იყიდის იმ ხეტყეს, რომელიც ნამალავათ მოჭრილია სახელმწიფო ტყეში ის დაისჯება:

პირველ და მეორე შემთხვევაში გადახდით იმ ფასისა, როგორც ღირდა ის ხეტყე, მესამეჯერ გარდა ამ გადახდისა, დატუსაღებით საპყრობილეში ერთიდან სამს თვემდის.

42. (827) როდესაც მრავალნი პირნი ერთათ აღმოუჩენენ წინააღმდეგობას და დაიარაღებულნი დაესხმებიან ტყის მცველებს, ისინი დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლათ.

---

43. (925) როდესაც რამდენიმე პირნი შეადგენენ საზოგადოებას ქურდობისათვის, ანუ სხვა რაიმე ბოროტ მოქმედებისათვის, ისინი დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

44. (929) ვინც რომ ამ ბოროტ საზოგადოებას მისცემს ბინას, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

45. (930) ვინც რომ განზრახვით მიიღებს ამ ნაირ ბოროტ საზოგადოებისაგან რაიმე ნაქურდალს შესანახავათ, ანუ გასასყიდათ, ანუ სხვის გადასაცემათ, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლათ.

---

46. (934) ვინც რომ სარგებლობს კულისათვის თავის თავს დაარქმევს მკითხავათ, ანუ მეჯადოვეთ, ის დაისჯება:

დატუსაღებით საპყრობილეში ოთხიდან რვა თვემდის.

---

47. (939) ვინც რომ სარგებლობის, ანუ სხვა რაიმე ბოროტის აზრის გულისათვის წააქეზებს ან ერთს პირს, ან მრთელ საზოგადოებას, რომ მათ დაიწყონ, ანუ გააგრძელონ ცხადათ უკანონო დავა, ანუ დასწერს შესახებ ამისა უკანონო ქაღალდს, ანუ მიიღებს რაიმე მონაწილეობას ამ საქმეში; ის დაისჯება:

პირველ შემთხვევაში გადახდით ორმოცდა ათ მანეთამდის.

მეორე შემთხვევაში გარდა ამ ფულის გადახდისა, დატუსაღებით სამი კვირიდამ სამს თვემდის.

რომელიმე მესამე შემთხვევაში, გადადის ორას მანეთამდის და დატუსაღებით საპყრობილეში ორიდან ოთხს თვემდის; გარდა ამისა მას ჩამოერთმევა ხელწერილი, რომ არაფის საქმეში აღარ გაერიოს.

48. (943) ვინც რომ უფიცრათ ცრუთ აჩვენებს სამსაჯულოში, ის დაისჯება:

დატუსაღებით სამის კვირიდამ სამს თვემდის.

---

49. (1081) ვინც რომ განზრახვით წაახდენს რკინის გზას და იცის, რომ ამ წახდენით უბედურება მოსდება იმ გზაზე, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში ციხეებში სამუშაოთ რვიდან თორმეტ წლამდის.

---

50. (1140) ვინც რომ განზრახვით წაახდენს ტელეგრაფს, ანუ რაიმე მის კუთვნილებას, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლათ.

---

5. (116) ვინც რომ ნამალავათ სხვის მაგიერათ მოაწერს ხელს ვექსილზე, ანუ ცრუთ შეადგენს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

52. (1163) ვინც რომ ვაჭართაგანი სიცრუით გამოაცხადებს თავის თავს კოტრათ ბანკროტათ, განზრახვით რომ ვალი არ გადიხადოს; ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლათ.

53. (1166) ვინც რომ ჩავარდება ვალში და ამ ვალის გადახდის ღონე აღარა აქვს; ამ დროს გადასცემს თავის ცხოვრებას—მამულს მთლათ ანუ ნაწილს სხვას უფულოთ იმ განზრახვით, რომ თვისი მოვალეები არ დააკმაყოფილოს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში საცხოვრებლათ.

54. (1180) როდესაც ვაჭრები შეჰკრებენ ერთმანეთში პირობას, რომ ერთობამით მოუმატონ ფასი, იმ საქონელს, რომელიც მიუცილებელი საჭირო ხალხისათვის, ანუ თუ მაინც დაუკლებენ ფასს, რომ ამით დააბრკოლონ ბევრი შემოტანა:

ამ საქმის დამწყობნი დაისჯებიან დატუსაღებით საპყრობილეში ოთხიდან რვა თვემდის; ვინც რომ ერია ამ საქმეში, ისინი დაისჯებიან დატუსაღებით სამის კვირიდან სამს თვემდის.

---

55. (1425) ვინც რომ თავად-აზნაურთ კრებების ყრის დროს, ანუ მოქალაქეთ, ან სასოფლო ამორჩევის დროს, საჩუქრით, ანუ შეშინებით იძულებულ ჰყოფს სხვას, რომ მისს სასარგებლოთ ხმა მისცეს, წინააღმდეგ სხვისა, ის დაისჯება:

გამორიცხვით საზოგადო ყრილობისაგან საუკუნოთ; გარდა ამისა ფულის გადახდით: თავად-აზნაურებს და ქალაქის მცხოვრებთ ორმოცდა ათ მანეთამდის, ხოლო სოფლებს ათ მანეთამდის; ანუ დატუსაღებით საპყრობილეში სამი კვირიდან ოთხ თვემდის.

56. (1435) ვინც ქალაქს, ანუ სასოფლო სამსაჯულოში მოახდენს უწესოებას, და იწყებს ყვირილს ანუ ლაპარაკობას გარეშე საგანზე თუ რომ მამასახლისი შენიშვნის შემდეგ არ დაწყნარდა, ის დაისჯება:

გადახდით ორ მანეთამდის.

57. (1438) ვინც რომ უარს იტყვის იმ სამსახურზე, რომელზედაც ამორჩეული იყო საზოგადოებისაგან, ის დაისჯება:

გადახდით ათ მანეთამდის; გარდა ამისა ვალდებული გახდება მიიღოს ის თანამდებობა

---

58. (1449) ვინც რომ განზრახვით მოჰკლავს მამას ანუ დედას, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისადა გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ საუკუნოთ.

59. (1450) ვინც რომ ერთხელ დასჯილი იყო განზრახვით კაცის კვლისათვის, და მეორეთ კიდევ განზრახვით მოჰკლავს კაცს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ საუკუნოთ.

60. (1451) ამნაირი სასჯელი მაადგება იმას, ვინც მოჰკლავს ანუ თავის ქმარს, ანუ თავის ცოლს, თავის შვილს, მკვიდრს ბაბუას ანუ ბებიას, ანუ შვილის შვილს, ანუ ძმას, ანუ დას, ანუ ბიძას, ანუ ბიცოლას; ანუ ბატონს სასლობიდგან ვისმეს, ანუ ოსტატს, რომელთანაც მკვლელი მსახურებდა, ანუ ვისმეს, ვისიც ვალდებული იყო თავის გაზდისათვის ანუ შენახვისათვის.

61. (1452) ვინც რომ განზრახვით მოჰკლამს ორსულ ქალს და იცოდა რომ ეს ქალი ორსული იყო, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ თუთხმეტიდგან ოც წლამდის.

62. (1453) ამავე სასჯელით დაისჯება:

1. რომელიც მოკვლის წინ მოკლული აწვალა.

2. რომელმაც მოტყუებით მიიყვანა კაცი იმისთანა ადგილზე, სადაც უშიშრად მოკლავდა და შემდეგ მოკლა, ანუ ჩაუსაფრდა სადმე.

3. რომელმაც მოკლა კაცი იმ განზრახვით, რომ მერე ის გაძარცოს, ანუ მას დარჩეს მოკლულის რაიმე მემკვიდრეობა.

4. რომელმაც მოჰკლა კაცი მოწამლით.

63. (1455) ვინც მოჰკლა კაცი წინათ განუძრახვად, გაჯავრებით, ანუ გულ მოსრულობით, მაგრამ იცოდა, რომ ის კაცს კვლიდა; ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ ციხეებში ათიდგან თოთხმეტ წლამდის.

64. (1456) იმავე სასჯელით დაისჯება ის, რომელსაც კაცის მოკვლა უნდა და შეცდომით იმის მაგიერათ სხვა მოკლა.

65. (1460) ქალი, რომელიც სირცხვილისა და ანუ შიშისა გამო დააგდებს ახლად შობილს იმისთანა ადგილს, სადაც ეს ახლად შობილი მოკვდება, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

66. (1461) ვინც რომ ორსულის ქალის შეუტყობინებლათ მოუშლის მას მუცელს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში საუშაოდ ოთხიდან ექვს წლამდის.

67 (1462) ვინც რომ ორსული ქალის თანხმობით მოუშლის მას მუცელს რაიმე საშვალობის მიცემით, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით დასასახლებლათ სიმბირის შორს ადგილებში.

68. (1465) როდესაც უბრალო ჩხუბში კაცი მოკვდება და მკვლელს არ ჰქონია განზრახვა მისი მოკვლის, ის დაისჯება:

დატუსაღებით რვა თვიდგან თექვსმეტ თვემდის და თუ მკვლელი ვერ გამოჩნდება, მაშინ ჩხუბის დამწყებნი დაისჯებიან.

დატუსაღებით ოთხიდან რვა თვემდის.

69. (1472) ვინც რომ თავის თავს მოკლავს და დამტკიცდება, რომ ის სრულ ჭკუაში იყო, მისი ანდერძი ანუ სხვა რაიმე განკარგულება შესახებ მემკვიდრეებისა არ იცნობება კანონიერათ თუ რომ ქრისტიანე იყო, წესის ანუ ანდერძის ამგების ნება აღარ მიეცემა.

---

უცოდინარობით და გაუგებლობით ისარგებლებს; ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსების და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ციხეებში რვიდან ათ წლამდის.

75. (1525) ვინც რომ ძალით განსრწნის უმანკო ქალს, რომელიც არის თოთხმეტი წლის მეტი; ანუ ძალით შეესვება ქალს, ის დაიიჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ოთხიდან რვა წლამდის.

შენიშვნა. უკეთუ ძალით განხრწნილს ქალწულს ქალს არა აქვს ცხოვრების საშუალება, ამ შემთხვევაში მისის თხოვნით, ანუ მისის მშობლების თხოვნით მას მიეცემა საზრდო დამნაშავეს ქონებ-ცხოვრებისაგან გათხოვებამდის.

76. (1529) ვინც მოიტაცებს ქალს, ანუ უმანკო ქალს იმ განზრახვით, რომ მას შეესოს, მაგრამ ვერ აასრულებს ამ განზრახვას სხვა და სხვა შემთხვევისა გამო, რომელნიც მასზედ არ იყვნენ დამოკიდებულნი; ისინი დაისჯებიან როგორც აღმასრულებელი /თავის განზრახვისა ძალადობით.

---

77. (1545) ვინც რომ მოქმედებით ანუ გალანძღვით გააუპატიურებს მამას ანუ დედას, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

---

78. (1545) ვინც რომ დაექადება ვისმეს, რომ მოკლამო, თუ რომ ფულს არ მომცემო, ანუ რაიმე ნივთს, ანუ გამოართმევს რაიმე ვალდებულების ქაღალდს, ან ვისმეს აუთვინებს უარს თავის უფლებაზე, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ოთხიდან ექვს წლამდის.

---

79. (1549) ვინც რომ მოატყუებს გაუთხოვარს ქალს, რომ მაზედ ჯვარი დაიწეროს ქალის უნებურად, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლათ.

80. (1553) მოწმები რომელნიც ამ გვარ ქორწინებაზე დაესწრობიან და იცოდენ, რომ ეს ქორ-

წიგნება ნაძალადევია, ანუ მარტო ერთი რომელიმე მხარე არ არის თანახმა; ეს მოწმენი დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიბირში დასასახლებლად.

81. (1566) ვინც რომ დაიწერს ჯვარს ცხადათ, ანუ ფარულად წინააღმდეგ მშობლების სურვილისა, ისინი დაისჯებიან:

დატუსაღებით ოთხიდან რვა თვემდის; გარდა ამისა დაეკარგება მემკვიდრეობის უფლება.

მშობლებს შეუძლიათ შემდგომში გამოაცხადონ სასამართლოში რომ მათ აპატიეს თავის შვილებს და მათი უფლება მემკვიდრეობაზე დაუბრუნდეს.

82. (1601) ვინც რომ დაეცემა სხვის ადგილს, ანუ სხვა რაიმე ქონებს ცხოვრებას და ისურვებს ძალით იმის დაპყრობას და ამასთან მოხდება განდევნება იმ ადგილიდან, ანუ სახლიდგან იმის პატრონისა, ანუ ვინც იქ ცხოვრებს; განსაკუთრებით ისინი, რომლის ბრძანებითაც ეს დაცემა მოხდა, დაისჯებიან:

დატუსაღებით თექვსმეტის თვიდგან ორ წლამდის.

დანაშთენები, რომელთაც იმ დაცემაში მონაწილეობა მიიღეს, დაისჯებიან:

დატუსაღებით რვა თვიდამ ერთ წლამდის.

როდესაც ამ დატუსაღებაში მყოფნი პირები დაიარაღებულნი იყვნენ და შეიძლებოდა, რომ ვინმე მძიმეთ დაჭრილიყო; მაშინ დამწყებნი დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიმბირში დასასახლებლათ.

სხვებნი რომელნიც ერივნენ ამ გვარ დაცემაში, ისინი დაისჯებიან:

ჩამოხდით რომელიმე ღირსებისა და დატუსაღებით რვა თვიდგან ორ წლამდის.

83. (1605) ვინც რომ მოსპობს მიჯნას (სინორს) ან სხვა რაიმე საზღვრების ნიშანს იმ განზრახვით, რომ მიითვისოს სხვის საკუთრებას, ის დაისჯება:

დატუსაღებით ოთხიდან რვა თვემდის; ანუ ფულის გადახდით ხუთს მანეთამდის.

---

84. (1606) ვინც რომ ცეცხლს მოუკიდებს სხვის სახლს ცუდის განზრახვით, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ რვიდან ათ წლამდის.

85. (1613) ვინც რომ ცუდი განზრახვით მოუკიდებს ცეცხლს სხვის ტყეს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიმბირში დასასახლებლად.

---

86. (1629) ავაზაკები, რომელნიც დაეცემიან იმ სახლს, რომელშიაც ცხოვრებენ, ანუ მთელს სოფელს, დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოთ ათიდან თორმეტწლამდის.

87. (1630) ავაზაკები, რომელნიც დაეცემიან ვისმეს ქუჩაში და დიდს შარაგზაზე, დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ, რვიდან ათ წლამდის.

88. (1631) ავაზაკები, რომელნი დაეცემიან ვისმეს სხვა ფარულ ანუ უდაბურ ადგილზე დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ ექვსიდამ რვა წლამდის.

89. (1634) როდესაც ავაზაკები დაცემის დროს კაცს მოჰკლავენ, და ანუ განზრახვა ექნებათ კაცის მოკვლის, ისინი დაისჯებიან:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ რვიდამ თორმეტ წლამდის.

90. (1636) თუ რომ ამ გვარ ავაზაკებს ამოუჩნდებათ, რაიმე ქონებ-ცხოვრება, მაშინ ამითი დააჯილდოებენ იმას, ვისაც მათგან ზარალი მიეცა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ავაზაკობა ჰქვია იმას, როდესაც ვინმე დაეცემა სხვას იმ განზრახვით, რომ წაართვას რაიმე; ამდროს დაიარაღებული იქნება; თუ გინდ დაიარაღებულიც არ იყოს, მაგრამ თუ კაცის კვლა მოხდება, ანუ მძიმე გალახვა, ანუ გატანჯვა.

---

91. (1638) ვინც გამარცვამს ეკლესიას და ამასთანავე არ შეეხება საწმინდეს, ის დაისჯება:

ჩამოხთიდ, ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ ათიდამ თორმეტ წლამდის.

92. (1640) ვინც რომ იქს მძარცველობას, როდესაც ცეცხლი გაჩნდება, ანუ წყლის მოვარდნის დროს, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით კატორღაში სამუშაოდ ექვსიდან რვა წლამდის.

93. (1643) როდესაც გამძარცველმა გაძარცვა ვინმე და არც დაიარაღებული ყოფილა, არც რაიმე ძალის დატანება უხმარია, ის დაისჯება:

ჩამოხდით ყოველივე ღირსებისა და გაგზავნით სიმბირში დასასახლებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. თუ რომ მძარცველებს ამოუჩნდება რაიმე ქონებ-ცხოვრება, მაშინ გაძარცული დაჯილდოვდება მათის ქონებ-ცხოვრებით.

---


გამომცემელი

ნიკოლოზ ყიფიანი

აპირებს ამ მოკლე ხანში შეუდგეს სხვა სახალხო წიგნების გამოცემას და ამიტომ სთხოვს ყველას, ვისაც კი იმისაგან «არსენას ლექსის» წიგნები გასასყიდად მიუღია, ანგარიში გაუთაონ და გაყიდულ წიგნებში მიღებული ფული გამოუგზავნონ დაუგვიანებლივ ამ ადრესით:

*Въ Тифлисъ. Николаю Кипіани.*


*Дозволено цензурою Тифлисъ 15 Октября 1872 г.* გ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის. სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი.